



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №68

2018 წლის 21 დეკემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში, ასლან ფუტკარაძის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთში თევზის ტბორებისა და თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 23-ე მუხლის მე-1 პუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის N37 განკარგულებისა და მოქალაქე ასლან ფუტკარაძის კ/N61006066188 2018 წლის 14 დეკემბრის N16858/05 განცხადების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში, ასლან ფუტკარაძის კ/N61006066188 მიერ იჯარით აღებულ (ს/კ22.28.04.078) არსებულ მიწის ნაკვეთში თევზის ტბორებისა და თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე